# შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

(+995) 577 05 27 70; www.avicenna.edu.ge (+995) 568 99 90 78

თბილისი 2021

შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის საქმიანობა ეფუძნება საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ პრინციპებსა და მიდგომებს. დაწესებულება მიზნად ისახავს შექმნას ისეთი ტიპის საგანმანათლებლო სივრცე, რომელიც პასუხისმგებელია მის მიერ მომზადებული კადრების კვალიფიციურობაზე

# მისია

შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის მისიაა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიზნით, შრომის ბაზარზე ორიენტირებული, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების, მათი დასაქმებისა და თვითდასაქმების უზრუნველყოფა სოციალური ინკლუზიის, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების, პროფესიული ორიენტაციის კონსულტირების, კარიერის დაგეგმვის სისტემის დანერგვის, ინოვაციური მიდგომებისა და ტექნოლოგიური განვითარების გათვალისწინების გზით.

## ხედვა

კოლეჯის სამომავლო ხედვაა 2026 წლისთვის იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სფეროში, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება, შრომის ბაზარის მოთხოვნების დაკმაყოფილებაში წვლილის შეტანა კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური კადრებით.

## ღირებულებები

- თანადგომა
- პასუხისმგებლობა
- თანასწორობა
- სიახლეებისადმი ღიაობა
- გუნდურობა

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

ბუღალტრული აღრიცხვა - Accounting

V საფეხური

**ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა:** 04114-3

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე :**
უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
Higher Vocational Qualification in Accounting

**დაშვების წინაპირობა** - სრული ზოგადი განათლება

# პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია, მოამზადოს და შრომის ბაზარს შესთავაზოს კვალიფიციური ბუღალტერი, რომელიც შეძლებს მონაწილეობის მიღებას სამეწარმეო, არასამეწარმეო, სახელმწიფო ორგანიზაციის/დაწესებულების ან პირის სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვაში, ორგანიზებასა და წარმართვაში; ფინანსური, ბუღალტრული ანგარიშებისა და ჩანაწერების შემოწმებასა და ანალიზს, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა დადგენილ კანონმდებლობასა და სტანდარტებთან; განახორციელებს ბუღალტრულ გატარებებს; შეადგენს და დადგენილი წესით წარადგენს საგადასახადო დეკლარაციებს; უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულებების გადარიცხვას სახელმწიფო ბიუჯეტში;

ასევე შეძლებს ფინანსურ ანგარიშგების, პირველად სააღრიცხვო და სხვადასხვა სახის ფინანსურ დოკუმენტაციის შედგენას  გარე და შიდა მომხმარებლებისათვის.

# სტრუქტურა და მოდულები:

პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს 11 კრედიტის მოცულობით და 16 პროფესიულ მოდულს 88 კრედიტის  მოცულობით, ბუღალტრულ აღრიცხვაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად **99 კრედიტი** (1 კრედიტი  უდრის 25 ასტრონომიულ საათს); სწავლის ხანგრძლივობა: 16,5 სასწავლო თვე (66 კვირა).

მოდულების, ,,ქართული ენა A2“ და ,,ქართული ენა B1“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.“

პროგრამის მოცულობა, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, ,,ქართული ენა  A2“ და ,,ქართული ენა B1“  მოდულებით - 129 კრედიტი.

პროგრამის  ხანგრძლივობა 22 სასწავლო თვე (88 კვირა).

# კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები

ბუღალტრულ აღრიცხვაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს კერძო და საჯარო უწყებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში საბუღალტრო და საფინანსო სამსახურებში, აუდიტორულ და საკონსულტაციო კომპანიებში მთავარ ბუღალტრად, ბუღალტრის თანაშემწედ/ასისტენტად, ბუღალტერ-მოანგარიშედ. შესაძლებელია თვითდასაქმებაც, კერძო პროფესიული პრაქტიკის განხორციელების გზით.

# პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დაგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული სავალდებულო ზოგადი და სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

| ზოგადი მოდულები | | | |
|---|---|---|---|
| № | მოდულის დასახელება | მოდულზე დაშვების წინაპირობა | კრედიტი |
| 1 | უცხოური ენა (ინგლისური) | - | 5 |
| 2 | მეწარმეობა 3 | - | 3 |
| 3 | ინფორმაციული წიგნიერება 2 | - | 3 |
| | სულ: | | 11 |
| **პროფესიული მოდულები** | | | |
| № | მოდულის დასახელება | მოდულზე დაშვების წინაპირობა | კრედიტი |
| 1 | ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები | - | 7 |
| 2 | ძირითადი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება | - | 3 |
| 3 | სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა | ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები | 9 |
| 4 | კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა | - | 5 |
| 5 | საგადასახადო დეკლარირება | - | 4 |
| 6 | სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ვალდებულებები | - | 4 |
| 7 | ინვენტარიზაცია | - | 2 |
| 8 | ფინანსური ანგარიშგების შედგენა | კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა | 8 |
| 9 | ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით | სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა | 12 |
| 10 | მმართველობითი აღრიცხვა | - | 8 |
| 11 | Ms Excel | ინფორმაციული წიგნიერება 2 | 6 |
| 12 | ბიზნეს ინგლისური | - | 5 |
| 13 | აუდიტის საფუძვლები | - | 2 |
| 14 | ეკონომიკური ანალიზი | - | 5 |
| 15 | გაცნობითი პრაქტიკა - ბუღალტრული აღრიცხვა | - | 2 |
| 16 | პრაქტიკული პროექტი - ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგების მომზადება | - | 6 |
| | | | 88 |
| | სულ: | | 99 |

# მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

**კურსდამთავრებულს შეუძლია:**

- შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა
- შეავსოს და არგუმენტირება გაუკეთოს სამუშაო ფორმებს (სააღრიცხვო დოკუმენტები)
- აწარმოოს ბუღალტრული ოპერაციები
- შეავსოს და გააგზავნოს დეკლარაციები
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება
- აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა ეკონომიკური საქმიანობის ზოგიერთი სახეობის მიხედვით
- აწარმოოს კონტროლი სამეურნეო სუბიექტის საბუღალტრო აღრიცხვაზე
- აწარმოოს მმართველობითი აღრიცხვა
- შეასრულოს ეკონომიკური ანალიზი.

## რა არის მოდული?

მოდული ცალკე აღებული დამოუკიდებელი სასწავლო ერთეულია, რომელიც პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს კონკრეტული, დასრულებული კომპეტენციის ან/და უნარის გამომუშავების ან/და ცოდნის მიღების საშუალებას აძლევს.

## რა არის კრედიტი?

კრედიტი არის სტუდენტის დატვირთვის საზომი ერთეული. კრედიტი პირობითი ერთეულია, რომელიც გამოხატავს იმ დროს, იმ საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს, რომლებიც სტუდენტს ამა თუ იმ კურსის/მოდულის/პრო გრამის ასათვისებლად, შესაბამისი სწავლის შედეგების მისაღწევად სჭირდება.



# პროფესიული სტუდენტის შეფასება მის მიერ პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურების პროცესია.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია: ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა); ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილიწესით; გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით. არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: ა) სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის დადასტურება პროგრამის დასრულებამდე ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის მოდული, რომლის შედეგიც ვერ დადასტურდა. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში. პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას: მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა, რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში ფასდება ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა; სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება; მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად; ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა; ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა). მართლწერა საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება; ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება; პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება; წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა; არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები; ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

ერთი სწავლის შედეგის ფარგლებში სწავლის შედეგის ორჯერ ვერ დადასტურების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება ეძლევა განმეორებით გაიაროს მოდული, რისთვისაც ვალდებულია გადაიხადოს ზემოაღნიშნული მოდულის განმეორებით გავლის საფასური. პროფესიული სტუდენტისათვის შეფასების შედეგის გაცნობა ხორციელდება დაწესებულების მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით; პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული შეფასება დირექტორის სახელზე წარდგენილი პირადი განცხადების საფუძველზე.

# სწავლების მეთოდები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი სწავლის მეთოდები: ლექცია, ლექცია დემონსტრირებით, სასწავლო ექსკურსია, პრაქტიკული სავარჯიშო, კეთება ინსტრუქტაჟით, დისკუსია, შემთხვევის განხილვა, ვიდეო მასალის ანალიზი, ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაცია, როლური თამაში, ველზე სწავლება, შემთხვევის შესწავლა, დამოუკიდებელი სამუშაოს ანალიზი, პრობლემების განხილვა-გადაჭრა და სხვა.

# მობილობა

პროფესიული სტუდენტის მობილობა არის პროფესიული სტუდენტის თავისუფალი გადაადგილება სწავლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების ან კვალიფიკაციის აღიარება; ავტორიზაციის ვადის გასვლის/ავტორიზაციის გაუქმების/ავტორიზაციაზე უარის თქმის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების ჩამორთმევის შემთხვევაში დაწესებულების მიერ განხორციელებულ მხოლოდ პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე არსებულ პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ განახორციელონ პროფესიული სტუდენტის მობილობა და გადავიდნენ სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მათ შორის, სხვა მხოლოდ პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

# სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთათვის

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტებისათვის დაწესებულებაში არის ადაფტირებული გარემო, ხოლო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად კი პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

# სწავლის საფასური

დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის სრული საფასური განისაზღვრება დირექტორის ბრძანების საფუძველზე (1 კრედიტის საფასური არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული საფასური გაყოფილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების მთლიან რაოდენობაზე). უცხო ქვეყნის მოაქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის შეიძლება დაწესდეს სწავლების განსხვავებული საფასური. სწავლის საფასურთან დაკავშირებით, დაწესებულებაში მოქმედებს შეღავათები შემდეგი პირების მიმართ:

- ომისა და შეირაღებული ძალების ვეტერანები და მათი შვილები; იძულებით გადაადგილებული პირები;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაზარელებული მოქალაქეები;
- I და II ჯგუფის შშმ პირები;
- ორივე მშობლით ობოლი პირები, რომლებიც საჭიროებენ მეურვეობას; სოციალურად დაუცველის სტატუსის მატარებელი პირები;
- ერთი ოჯახიდან ერთზე მეტი პირის სწავლის შემთხვევაში;
- პირი, რომელიც არის მრავალშვილ იანი ოჯახიდან.

დიდია დამსაქმებელთა როლის პროფესიული განათლების სფეროში, ამიტომ ჩვენი მიზანია რაც შეიძლება მეტი პარტნიორი ორგანიზაცია ჩავრთოდ პროფესიული პროგრამის ადაპტირების/დანერგვის პროცესში, მეტ დამსაქმებლებთან გავაფორმოთ ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები პრაქტიკის განმახორციელების მიზნით.

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: თბილისი, ხოშარაულის 30ა

ტელ: (995) 568999078;

(995) 577052770;

(995) 599134152;

ვებ გვერდი: avicenna.edu.ge